ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 340

“21” ივლისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „მს ბილდერს“ (ს/ნ. 405427765) შორის 2022 წლის 31 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „მს ბილდერის“ (ს/ნ. 405427765) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე, “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „მს ბილდერს“ (ს/ნ 405427765) შორის 2022 წლის 31 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „მს ბილდერის“ (ს/ნ 405427765) გათავისუფლების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 19 ივლისის №23.1069.1194 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო

სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „მს ბილდერს“ (ს/ნ 405427765) შორის 2022 წლის 31 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, 222 000 (ორას ოცდაორი ათასი) ლარის ოდენობით, შპს „მს ბილდერის“ (ს/ნ 405427765) გათავისუფლების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**